კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	**ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	პროგრამა არ ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭებას. პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობის სრულად ათვისების შემდეგ სტუდენტი აგრძელებს სწავლას სასურველ ქართულენოვან პროგრამაზე. პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი.
ფაკულტეტის დასახელება	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	პროფესორი რუსუდან საღინაძე
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	2 სემესტრი 60 ECTS კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები	აკრედიტაციის თარიღი: 06.09.2012 აკადემიური საბჭოს დადგენილება #56 (18/19) 25.06.2019

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

ერთიან ეროვნულ გამოცდებში აზერბაიჯანულენოვანთა და სომხურენოვანთათვის მშობლიურ ენაზე (აზერბაიჯანულად / სომხურად) მხოლოდ ზოგად უნარებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა, ხოლო აფხაზურენოვანთა და ოსურენოვანთათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მშობლიურ ენაში (აფხაზურში/ოსურში) გამოცდის ჩაბარება.

ბლოკის შერჩევა ხორციელდება უნივერსიტეტში სწავლის დაწყებამდე გავლილი პრეტესტის შედეგების საფუძველზე.

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია საქართველოს არაქართულენოვან მოქალაქეებს მისცეს:

- ქართული ენის შესახებ საბაზისო ცოდნა და წარმოდგენა მისი, როგორც სახელმწიფო ენის, მნიშვნელობაზე
- ქართული ენის სტრუქტურის (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), აგრეთვე, ლექსიკოლოგიის ზოგადი მახასიათებლების, ქართული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგის და არჩეული სპეციალობის შესაბამისი დარგის ტერმინოლოგიის ცოდნა
- ქართველური კულტურული მემკვიდრეობის, ქართული ლიტერატურული და ფოლკლორული ნიმუშების შესახებ ზოგადი წარმოდგენა
- ენობრივი კონტაქტების ძირითად ასპექტთა (პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ.) ცოდნა
- ენობრივი კომპეტენციის გაძლიერებით საზოგადოებაში ინტეგრირების საფუძველი

სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)

ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია: ➢ ქართული ენის გრამატიკული წყობისა და ლექსიკური ფონდის ძირითადი მახასიათებლების გააზრება. ➢ არჩეული სპეციალობის მიხედვით სხვადასხვა ტიპის ზეპირი და წერილობითი ტექსტების ადეკვატურად გაგება. ➢ ტექსტის სტრუქტურაში გარკვევასა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება.

უნარი	პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია: ➢ ქართულ სალიტერატურო ენაზე კომუნიკაცია ➢ არჩეული სპეციალობის მიხედვით სალექციო კურსების მოსმენა, გააზრება და შესწავლა ➢ ქართულ ენაზე მიღებული ენობრივი ცოდნის შესაბამისი გარკვეული ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება, თარგმნა ➢ ქართული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების გამოყენება ➢ დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვება, მუშაობისთვის დროის დაგეგმვა ➢ დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია: ➢ ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, დაფასება და პატივისცემა ➢ ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების აღქმა და მრავალფეროვან გარემოში ადაპტირება ➢ სამოქალაქო ცნობიერება და საზოგადოებაში ინტეგრირება

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სხვადასხვა კურსების სწავლებისთვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ახსნა-განმარტებითი, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, კომუნიკაციური დიდაქტიკა, შესაძლებლობათა (რეზერვთა) გააქტიურება (Total Phisicasl Response – TPR), დავალებაზე ორიენტირებული ენის სწავლება (Task-based language Learning – TBLL).

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამაში 60 ESTC კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობა. აქედან 30 ESTC კრედიტი I სემესტრში, ხოლო 30 ESTC კრედიტი – II სემესტრში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები/

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანებებით განსაზღვრული პუნქტების, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით №5(17/18) – „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“, განსაზღვრული პუნქტების გათვალისწინებით.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:

სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში - არა უმეტეს 30 ქულა;

შუალედური გამოცდა - არა ნაკლებ 30 ქულა;

დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს **არანაკლებ 18 ქულას.**

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

ა.ა) **(A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (**B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (**C) კარგი –** მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის **შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.**
დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული **შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით.**
სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შუალედური და დასკვნითი (დამატებითი) გამოცდები ჩატარდება ფორმალიზებული წესით.
ცალკეულ კურსებში შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია შესაბამისი კურსის სილაბუსით.

დასაქმების სფეროები

სტუდენტი აგრძელებს სწავლას სასურველ ქართულენოვან სპეციალობაზე, ამიტომ დასაქმების სფეროები არ არის განსაზღვრული.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს აწსუ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ქართული ენის მიმართულების მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი: პროფ. რ. საღინაძე, ასოც. პროფ. ი. რუსაძე, ასოც. პროფ. მ. მიქაუტაძე, ფილოლოგიის დოქტორი მ. თედორაძე, მოწვეული სპეციალისტები: ფ. ჭაბუკიანი, თ. ნინიძე, ს. გუმბერიძე.
საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია აწსუ-ს მატერიალური რესურსებით: სასწავლო-სალექციო კაბინეტებით, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიბლიოთეკებით და სამკითხველო დარბაზებით, კომპიუტერული ცენტრებით.

სასწავლო გეგმა 2019-2020

პროგრამის დასახელება: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი				დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	
				აუდიტორული	შუალედ. დასკვნითი გამოცდები							
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი				დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	
				აუდიტორული	შუალედ. დასკვნითი გამოცდები							
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
10	ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა)-1.2	5	125	45	3	77	0/3/0/0	X				პრეტესტი
11	ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები-1.2	5	125	45	3	77	0/3/0/0	X				პრეტესტი
12	ქართული ენის გრამატიკა-1.2	5	125	30	3	92	1/1/0/0	X				პრეტესტი
	სულ	30	750	255	18	477	17	X				
	სავალდებულო კურსები											
13	ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები-2	5	125	60	3	62	1/3/0/0		X			
14	ქართული ენის გრამატიკა-2	5	125	45	3	77	1/2/0/0		X			
15	ფუნქციური წერა	5	125	45	3	77	1/2/0/0		X			
16	წერითი და ზეპირი მეტყველების სტრატეგიები	5	125	45	3	77	0/3/0/0		X			
17	ლექსიკა და დარგის ტერმინოლოგია	6	150	60	3	87	1/3/0/0		X			
18	ტოლერანტობა და მრავალფეროვნება (ენისა და საგნობრივი შინაარსის სწავლების ინტეგრირებული კურსი)	4	100	30	3	67	1/1/0/0		X			
	სულ	30	750	285	18	447	19					